დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება-** ინგლისური ფილოლოგია

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ფილოლოგიის ბაკალავრი

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 240 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი

4. **სწავლების ენა** ქართული

5. **პროგრამის ხელმძღვანელი**

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - **ემა კილანავა**

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ლიტერატურაში. ამავე დროს უცხო ენად აუცილებლია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი, როგორც წესი, გულისხმობს ხალხებსა და მათ ენებს შორის უფრო ინტენსიურ კონტაქტებსა და, შესაბამისად, პლურალინგვიზმის განვითარებასაც. ინგლისური ენა სწრაფი ტემპით იმტკიცებს პოზიციებს საქართველოში. ინგლისურმა ენამ საქართველოს საგარეო კავშირები მსოფლიო მასშტაბამდე გააფართოვა და ამის შედეგად სრულიად ახლებურია ქართული და ინგლისური ენების ურთიერთობა. ასეთ ვითარებაში საზოგადოებას უფრო მეტი შეხება აქვს ენობრივ პრობლემებთან. კერძოდ, ინგლისურ და ქართულ ენათა შესწავლა-სწავლებასთან, თარგმანთან და ა.შ. ამიტომაა, რომ ამჟამად ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილილოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ემსახურება მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - კაცობრიობის მთავარი ღირებულებების -განათლების მიღებისა და გავრცელების, უახლეს სამეცნიერო იდეებზე დაფუძნებული, მსოფლიოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სხვადასხვა აკადემიური დონის კურსდამთავრებულების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ მაღალზნეობრივი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გლობალურ საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს აძლევს კომპლექსურ ცოდნას, რომელიც მოიცავს ინგლისური ენის, ინგლისური ენის თეორიის, ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორიის მიმართულებებს.

პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ინგლისური ენა და ჩამოუყალიბოს მათ უნარ-ჩვევები ისეთი მოცულობით და დონით, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად, ნორმატულად გამართულად და ფუნქციონალურად ადეკვატურად გამოიყენონ სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა. პროგრამამ უნდა შეუქმნას მათ საფუძველი ენის ცოდნის შემდგომი, პროფესიონალურად ორიენტირებული სრულყოფისათვის.

პროგრამა მიზნად ისახავს აგრეთვე შეასწავლოს სტუდენტებს ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის ისტორია, გააცნოს მათ ინგლისური და ამერიკული პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნიმუშები მათი ორიგინალში წაკითხვის გზით, გამოუმუშავოს სტუდენტებს ინგლისური და ამერიკული ლიტერატურული შედევრების წაკითხვისა და მათი კრიტიკული განხილვის უნარ-ჩვევები.

სტუდენტის ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი თუ მეთოდური დაოსტატების პროცესი მიზნად ისახავს ლინგვისტური, კომუნიკაციური და ლინგვოქვეყანათმცდონეობითი კომპეტენციების ფორმირებას. სტუდენტს უნდა ჩამოუყალიბდეს უცხოენოვანი მეტყველების აღქმისა და პროდუცირების უნარი სხვადასხვა კომუნიკაციურ სფეროებსა და სიტუაციებში.

პროგრამა მიზნად ისახავს აღჭურვოს სტუდენტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის როგორც პრაქტიკის, ასევე თეორიის საბაზო ცოდნით, კერძოდ, ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლიტერატურათმცოდნეობაში, ინგლისურ ენასა და ლიტერატურის ისტორიაში, სტილისტიკაში, ლექსიკოლოგიაში, ლინგვისტიკაში, შეასწავლოს მათ სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებები და მათი კრიტიკული ანალიზი, ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ლიტერატურული ტექსტების ფორმალური, ესთეტური და სტრუქტურული ნიშან-თვისებების შეფასების უნარი. სტუდენტები ისწავლიან დამოუკიდებელ მუშაობას და განავითარებენ საკუთარ აზრს, დაეუფლებიან საკვანძო და სპეციფიკურ უნარებს, დააკავშირებენ შეძენილ ცოდნას შემდგომ როგორც პროფესიულ, ასევე საზოგადოებრივ და პირად საქმიანობას.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ ისეთი უნარები, როგორიცაა ეფექტური შესწავლის, კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის მოძიებისა და შერჩევის, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის, ინტერაქტიურობისა და ჯგუფური მუშაობის უნარები.

ინგლისური ფილოლოგიის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეარჩიონ მეორე უცხოური ენის ფორმატში შემდეგო სერვისული ევროპული ენა (გერმანული, ფრანგული, რუსული სტუდენტის არჩევით).

8. სწავლის შედეგები

- *ცოდნა და გაცნობიერება* - ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო საგნების შესწავლის საფუძველზე კურსდამთავრებულს გააჩნია როგორც ზოგადად ფილოლოგიისა, ასევე ინგლისური ფილოლოგიის დარგობრივი სფეროს ფართო და ერთობლივი (კომპლექსური) ცოდნა, ფლობს დარგობრივ (ლინგვისტურ) და კრიტიკულ ტერმინოლოგიას და მის მიერ არჩეულ სპეციალობის სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს და გაცნობიერებული აქვს ცოდნის (აკადემიური დონის) ამაღლებისა და ინგლისური ენისა და ლიტერატურის შემდგომი ღრმა კვლევის აუცილებლობა და ამის მისაღწევად მას უკვე შეძენილი აქვს კვლევის მასალის შეგროვების,

მისი პირველადი დამუშავების გამოცდილება და უნარი, იცნობს ლინგვისტური და ლიტერატურული ანალიზის ძირითად მიმართულებებს, პრინციპებსა და მეთოდებს. ბაკალავრი დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას **B2(+)** დონეზე.

- ***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები*** - კურსდამთავრებულს შეუძლია შეძენილი საკომუნიკაციო კომპეტენციების *(კითხვა, წერა, ზეპირი მეტყველება და მოსმენა-აუდირება)* და უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება, საკუთარი აზრის ნათლად, ლოგიკურად და კარგი ინგლისურით გადმოცემა. მან იცის ტექსტის თარგმნის მეთოდიკა, ფლობს მთარგმნელობით საქმიანობას, გააჩნია ტექსტების კორექტირებისა და რედაქტირების, მსოფლიო ლიტერატურის ნებისმიერი ნიმუშისა და სხვადასხვა სტილისა და ჟანრის ნაწარმოებების კრიტიკული ანალიზის უნარი, რაც მას საშუალებას აძლევს ჩაერთოს ლიტერატურულ პროცესებში (ან სურვილის შემთხვევაში, გამოიყენოს სწავლებისათვის). ბაკალავრს შეუძლია პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება ინგლისურ ენაში ან ინგლისურ ლიტერატურაში წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით, შეძენილი აქვს მასალის შეგროვების, შესაბამისი წყაროების დიფერენცირებისა და შეფასების, დამოუკიდებლად ბიბლიოთეკის, ბიბლიოგრაფიულ და არქივის წყაროებზე, მათ შეგროვების და შემდგომში მოძიებული მასალის გამოყენების უნარ-ჩვევები.

- ***დასკვნის უნარი*** - შეძენილი აქვს კრიტიკულიდა ობიექტური აზროვნების უნარები, პრობლემების შეცნობისა და მათი გადაჭრის სტრატეგიები.მას შეუძლია განახორციელოსინფორმაციის სინთეზი, ანალიზი და კრიტიკული შეფასება, ალტერნატიული თეორიების გამოყენება და ახსნა-განმარტება მოცემული ინფორმაციის შესახებ,დამოუკიდებელი გააზრება და განსჯა,ინფორმაციის მოძიება და შერჩევა, შესაბამისი წყაროებისა და მასალების გამოყენება ინფორმაციის მოსაპოვებლად, გასარკვევად და საპრეზენტაციოდ,ამ მეთოდებით მოპოვებული ინფორმაციის შეფასება.

- **კომუნიკიციის უნარი** - გააჩნია კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარები, შეუძლიათავისუფალი და ეფექტური კომუნიკაციის განხორციელება წერითი და ზეპირი ფორმით კორექტულობის მაღალი დონის დაცვით, ზეპირი მეტყველებისა და წერის მართებული გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში, ესეების დაგეგმვადამათი შესრულება, აზრის გამოხატვა ლიმიტირებულ დროის მონაკვეთში, არგუმენტების მოყვანა და პრეზენტაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაბამისი გამოყენება, შეუძლია პროფესიულ საზოგადოებაში ინგლისურ ენაზე ლინგვისტიკისა და ლიტერატურის ირგვლივ პოლემიკასა და მსჯელობაში ჩართვა, შეუძლია დისკუსიაში გამოიწვიოს სხვა პიროვნება, აწარმოოს სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, შეძენილი აქვს დისკუსიაში ჩაბმისა და ნებისმიერ საწინააღმდეგო აზრის, პოზიციის დაცვის უნარ-ჩვევები საკუთარი არგუმენტების გამოყენებით. კურსდამთავრებულს შეუძლია არამხატვრული ტექსტის სწორად თარგმნა და რეფერირება, ნაშრომის წერილობითი ანგარიშის მომზადება და მისი ზეპირი წარდგენა, კომუნიკაციის დამყარება მშობლიურ და ინგლისურ ენებზე.

- **სწავლის უნარი** - კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები, ბიბლიოგრაფიასთან მუშაობისა და მისი შედგენის უნარები, რაც მოიცავს წყაროების დამუშავებას, მათ ზუსტ ციტირებას და აკადემიური ჩვევების თანმიმდევრულ გამოვლინებას საბაკალავრო ნაშრომის პრეზენტაციისას. მას შეუძლია სხვადასხვა ხედვაში გარკვევა, მათი კრიტიკული ანალიზი და გამოყენება საკუთარ ნაშრომში. კურსდამთავრებულს შეძენილი აქვს სწავლის ეფექტური უნარები, ავტონომიურობა სწავლის პროცესში,საკუთარი ცოდნის

გამოყენების ეფექტური მენეჯმენტი,საკუთარი ცოდნის თვითშეფასება, ისეთი უნარები, როგორიცაა კითხვა, ჩანიშვნა, გამეორების ტექნიკა, დროის მენეჯმენტი. შეუძლია განსხვავებულ სასწავლო პირობებში სწავლის გაგრძელება. მას შეძენილი აქვს სწავლების შემდგომ საფეხურზე-მაგისტრატურაში - სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები, შეგნებული აქვს უწყვეტი ფილოლოგიური განათლებისა და პროფესიული განვითარების აუცილებლობა.

- **ღირებულებები** - კურსდამთავრებულს მაღალ დონეზე აქვს განვითარებული პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა და იცავს მართებულ აკადემიურ ნორმებს და ზნეობრივ წესებს, მისდევს წესიერების, ღირსების და კოლეგიალობის ურყევ პრინციპებს, ადამიანთა შორის ურთიერთობების ეთიკას. მას აქვს კულტურათაშორისო განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, სათანადო გაგებისა და პატივისცემის უნარი, ახასიათებს შემწყნარებლობა, განსხვავებული აზრისა და რწმენის, კულტურების პატივისცემა და მიაგებს პატივს დემოკრატიულ ფასეულობებს, იცავს სამართლიანობას და ისწრაფვის ამ პრინციპების დასამკვიდრებლად. შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების დამკვიდრების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად შეიმუშავოს ინოვაციური მეთოდები. ბაკალავრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები.

9. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები – 27 კრედიტი														
1.	აკადემიური წერა	ACAD B101	6	*65*	*85*	6								წინაპირობის გარეშე
2.	ინგლისური ენა (A 2.2)	ENGL B105	9	*95*	*130*	9								წინაპირობის გარეშე
3.	ენათმეცნიერების საფუძვლები	PHIL B107	3	*65*	*85*	3								წინაპირობის გარეშე
4.	საქართველოს ისტორიის შესავალი	HIST B100	3	*65*	*85*	3								წინაპირობის გარეშე
5.	კლასიკური ენა /ლათინური/	LAT B101	3	*35*	*40*	3								წინაპირობის გარეშე
6.	ფილოსოფიის შესავალი	PHLS B101	3	*35*	*40*	3								წინაპირობის გარეშე
ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 135 კრედიტი														
1.	მეორე უცხო ენა I (გერმანული, ფრანგული, რუსული) (A 2.1)	GERM B131 FREN B131 RUSS B131	3	*35*	*40*	3								წინაპირობის გარეშე
2.	მეორე უცხო ენა II (გერმანული, ფრანგული, რუსული) (A 2.2)	GERM B132 FREN B132 RUSS B132	3	*35*	*40*		3							GERM B131 FREN B131 RUSS B131
3.	მეორე უცხო ენა III (გერმანული, ფრანგული, რუსული) (B1.1)	GERM B133 FREN B133 RUSS B133	3	*35*	*40*			3						GERM B132 FREN B132 RUSS B132
4.	მეორე უცხო ენა IV (გერმანული, ფრანგული, რუსული) (B1.2)	GERM B134 FREN B134 RUSS B134	3	*35*	*40*				3					GERM B133 FREN B133 RUSS B133
5.	ლიტერატურის თეორია	PHIL B103	6	*65*	*85*			6						PHIL B102
6.	ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი	PHIL B102	6	*65*	*85*		6							წინაპირობის გარეშე

7.	ზოგადი ენათმეცნიერება	PHIL B104	6	*65*	*85*		6							PHIL B101
8.	ინგლისური ენის სტილისტიკა	ENGL B109	3	*35*	*40*							3		ENGL B132- ENGL B136
9.	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	ENGL B131	3	*35*	*40*		3							წინაპირობის გარეშე
10.	თარგმნის თეორია და პრაქტიკა	ENGL B112	3	*50*	*25*						3			ENGL B132- ENGL B135
11.	ინგლისური ენის ისტორია	ENGL B111	3	*35*	*40*							3		ENGL B132- ENGL B136
12.	ინგლისური ენის ლექსიკოლოგია	ENGL B108	3	*35*	*40*			3						ENGL B131- ENGL B132
13.	ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა	ENGL B110	3	*35*	*40*							3		ENGL B131- ENGL B136
14.	ინგლისური ენა 1 (B1.1)	ENGL B132	9	*95*	*130*		9							ENGL B135
15.	ინგლისური ენა 2 (B1.2)	ENGL B133	9	*95*	*130*			9						ENGL B132
16.	ინგლისური ენა 3 (B2.1.1)	ENGL B134	9	*95*	*130*				9					ENGL B133
17.	ინგლისური ენა 4 (B2.1.2)	ENGL B135	9	*95*	*130*					9				ENGL B134
18.	ინგლისური ენა 5 (B2.2.1)	ENGL B136	9	*95*	*130*						9			ENGL B135
19.	ინგლისური ენა 6 (B2.2.2)	ENGL B137	9	*95*	*130*							9		ENGL B136
20.	ინგლისური ლიტერატურის ისტორია I	ENGL B114	6	*65*	*85*			6						ENGL B113
21.	ინგლისური ლიტერატურის ისტორია II	ENGL B115	6	*65*	*85*				6					ENGL B114
22.	ინგლისური ლიტერატურის ისტორია III	ENGL B116	6	*65*	*85*					6				ENGL B115
23.	ინგლისური ლიტერატურის ისტორია IV	ENGL B117	6	*65*	*85*						6			ENGL B116
24.	**საბაკალავრო ნაშრომი**	ENGL B118	9	*75*	*150*								9	*პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები*
	ძირითადი (major) სპეციალობისარჩევითი კურსები - 12 კრედიტი													
	სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესამამისად						3	3		3			3	
1.	ინგლიური ენის ზეპირი და წერითი მეტყველების სრულყოფა (Fast Track to FCE)	ENGL B119	3	*35*	*40*									ENGL B132- ENGL B136
2.	ინგლისური ენის ვარიანტები	ENGL B120	3	*35*	*40*									ENGL B132- ENGL B136
4.	ინგლისური ენის პრაქტიკული ფონეტიკა	ENGL B122	3	*35*	*40*									ENGL B132- ENGL B134
5.	დრამის (ინგლისური ლიტერატურული დიალოგის) ენა	ENGL B123	3	*35*	*40*									ENGL B132- ENGL B136

6.	დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია და კულტურა	ENGL B124	3	*35*	*40*									წინაპირობის გარეშე
7.	პროფესიული ინგლისური 1 (ბიზნეს-ინგლისური)	ENGL B125	3	*35*	*40*									ENGL B132
8.	პროფესიული ინგლისური 2 (ინგლისური ტურიზმისათვის)	ENGL B126	3	*35*	*40*									ENGL B132
9.	საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორია	ENGL B127	3	*35*	*40*									წინაპირობის გარეშე
10	ამერიკული ნოველა	ENGL B128	3	*35*	*40*									წინაპირობის გარეშე
11	ანტიკური ლიტერატურის ისტორია	ENGL B129	3	*35*	*40*									
თავისუფალი კურსები (სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)			*6*										3+3	
დამატებითი(minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა *(დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)*			*60*					12	12	12	12	12		
ს უ ლ - 240 კრედიტი						30	30	30	30	30	30	30	30	

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია

- **პროგრამის სახელწოდება** - დამატებითი (Minor) პროგრამა ინგლისური ფილოლოგია
- **სწავლების ენა** - ქართული
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 60 (ECTS) კრედიტი /5 (IV-VIII)სემესტრი/ სემესტრში - 12 კრედიტი.
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - წინაპირობის გარეშე
- **პროგრამის მიზანი** - ინლგისური ფილოლოგიის დამატებითი (Minor) პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაზო უნარების ათვისების პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის დამატებითი სპეციალობის შეძენის მსურველთათვის. მასში გათვალისწინებულია, როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ანვითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ასევე სპეციალური პრაქტიკულ-თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას ფილოლოგიის სფეროში. მთლიანობაში დამატებითი (Minor) პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენაზე. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური უნარების ფორმირებას, განვითარებას, კარიერული შესაძლებლობის გაფართოებასა და კვალიფიკაციის შემდგომ საფეხურზე შეცვლის საშუალებას.

  პროგრამის მიზანია სტუდენტებს შეასწავლოს ინგლისური ენა და ჩამოუყალიბოს მათ უნარ-ჩვევები ისეთი მოცულობით და დონით, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს ადეკვატურად გამოიყენონ სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა. პროგრამა მიზნად ისახავს აღჭურვოს სტუდენტი ინგლისური ენისა და ლიტერატურის როგორც პრაქტიკის, ასევე თეორიის საბაზო ცოდნით, კერძოდ, ფონეტიკაში, მორფოლოგიაში,ლიტერატურათმცოდნეობაში, ინგლისურ ენასა და ლიტერატურის ისტორიაში, სტილისტიკაში, ლექსიკოლოგიაში, შეასწავლოს მათ სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებები და მათი კრიტიკული ანალიზი. სტუდენტები ისწავლიან დამოუკიდებელ მუშაობას და განავითარებენ საკუთარ აზრს, დაეუფლებიან საკვანძო და სპეციფიკურ უნარებს, დააკავშირებენ შეძენილ ცოდნას შემდგომ როგორც პროფესიულ, ასევე საზოგადოებრივ და პირად საქმიანობას.

  პროგრამის მიზანია შეუქმნას სტუდენტებს აქტიური და მასტიმულირებელი გარემო, რომელშიც ისინი დაჯერებულად იმუშავებენ, განავითარებენ და დახვეწავენ ინგლისური ენის სხვადასხვა ზეპირ და წერილობით ფორმებსა და სტილს, შეიძენენ შემოქმედებით, კრიტიკულ აზრის გადმოცემის უნარს, კვლევის ჩვევებს, მიიღებენ ისეთ წერით გამოცდილებას, რომელიც მათ შემდგომში მისცემს საშუალებას იმოღვაწეონ თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში, რადგან გლობალიზაციის ხანაში ინგლისური ენის ცოდნა ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი

ფაქტორია წარმატების მისაღწევად ნებისმიერ კარიერაში. წერითი კომპეტენციის გაძლიერება პროგრამაში ხდება ინგლისური ენის ზეპირი მეტყველების, სიტყვათა მარაგის, კითხვის უნარ-ჩვევების და გრამატიკის ცოდნა-უნარებისა და გაგების გაღრმავების საფუძველზე. სტუდენტები დაეუფლებიან ესეების (თხზულებების), სტატიების წერას სხვადასხვა მიზნებისათვის, მათ კორექტირებას და რედაქტირებას.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ჩამოუყალიბდებათ ისეთი უნარები, როგორიცაა ეფექტური შესწავლის, კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის მოძიებისა და შერჩევის, კომუნიკაციისა და პრეზენტაციის, inglisurენოვანი მეტყველების აღქმისა და პროდუცირების უნარი სხვადასხვა კომუნიკაციურ სფეროებსა და სიტუაციებში, ინტერაქტიურობისა და ჯგუფური მუშაობის უნარები.

- **სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულმა იცის:

- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსის ასპექტები, ინგლისური ენის ფონეტიკური და ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები, ლექსიკური ფონდის სემანტიკური თავისებურებები, B1 დონის შესაბამისი ცოდნის ფლობა, კომპეტენციების ფლობა ვერბალური კომუნიკაციის ოთხი ფორმით: *კითხვა, წერა, ზეპირმეტყველება და მოსმენა-აუდირება;*
- ინგლისური ლიტერატურათმცოდნეობის კუთხით სტუდენტმა იცის ინგლისური ლიტერატურის ისტორიის განვითარების ეტაპები, მიმდინარეობები, ცალკეული ლიტერატურული ეპოქის მახასიათებლები: ძველი და შუა საუკუნეების ლიტერატურის ინტერპრეტაცია, ინგლისური რომანტიზმისა და კლასიციზმის ეპოქის სკოლები და მიმდინარეობები; ახალი და უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორიის ძირითად ტენდენციები და ავტორთა შემოქმედება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - კურსდამთავრებულს შეუძლია ინგლისური ენის B 1 დომეზე პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვა, ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა, მოსმენა, გაგება, თარგმნა, ანალიზი, ინტერპრეტაცია, ენის ეფექტურად გამოყენება; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვა, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება და გადმოცემა, ინგლისური ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების გამოყენება.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია ინგლისური ფილოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სწავლის პროცესში აპრობირებული მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, რომელიც გამოიხატება შემდეგში: სწავლისა და სწავლების მეთოდების შერჩევა და მათი გამოყენება დაგეგმვის, შემოწმება-შეფასების, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანისა და ანგარიშის შედგენის უნარ_ჩვევების დემონსტრირებაში; ინფორმაციული მონაცემების ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია.

კომუნიკაციის უნარი

- კურსდამთავრებულს აქვს ინგლისურ ენაზე ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა;
- კურსდამთავრებულს შეუძლია დისკუსიაში მონაწილეობა, პრეზენტაციის მომზადება და მისი ზეპირი წარმოდგენა; აქვს ინგლისური ენის ცოდნა **B1** დონეზე; შუეძლია აზრის ნათლად ჩამოყალიბება.

სწავლის უნარი - გამომუშავებული აქვს სწავლის ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც თვითგანმსაზღვრელი ან დამოუკიდებელი სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა. კურსდამთავრებულს შეუძლია ცოდნისა და პრობლემების გადაჭრის უნარის გამოყენებას ახალ ან უცნობ გარემოში თავის დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში.

ღირებულებები - აცნობიერებს ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფორმირების პროცესისათვის აუცილებელ მოსაზრებათა გამოყენებას, რომლის საშუალებითაც მიისწრაფვის ღირებულებათა დასამკვიდრებლად. ყოველდღიურ ცხოვრებაში შეუძლია ენის როლის შეფასება და ინგლისურის, როგორც მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშულების, მნიშვნელობის განსაზღვრა, ასევე სხვადასხვა ჯგუფური ღირებულებების განსაზღვრა; მოლაპარაკებების წარმართვის უნარების გამომუშავება.

- ინგლისური ფილოლოგიის დამატებითი (Minor) პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო სასწავლო კურსები – 48 კრედიტი														
1.	*ინგლისური ენა 1 (B .1.1)*	ENGL B132	9	95	130				9					წინაპირობის გარეშე
2.	*ინგლისური ენა 2 (B.1.2)*	ENGL B133	9	95	130					9				ENGL B132
3.	*ინგლისური ენა 3 (B.2.1.1)*	ENGL B134	9	95	130						9			ENGL B133
4.	*ინგლისური ენა 4 (B.2.1.2)*	ENGL B135	9	95	130							9		ENGL B134
5.	*შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში*	ENGL B131	3	35	40				3					წინაპირობის გარეშე
6.	*ინგლისური ენის სტილისტიკა*	ENGL B109	3	35	40							3		ENGL B132- ENGL B133
7.	*ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1*	ENGL B114	6	65	85								6	წინაპირობის გარეშე
არჩევითი სასწავლო კურსები – 12 კრედიტი														
არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებიდან										3	3		6	
სულ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	